

ბრძანება  
№3/118

17.04.2012

ქ. თბილისი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის №3/165 ბრძანების დანართი №1 და №2-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს 2011 წლის 6 დეკემბრის №01-02/380 კორექსონდენციისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის თანახმად,

**ებრძანება:**

1. ქ. ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის №3/165 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2008 წ. №31 ) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

დანართში შეტანილი რიგითი ნომერი 53 და კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი №020501006, ნაცვლად “თამარ მეფის დასახლება”, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით – „ოდისეი დიმიტრიადის ქ. №1”.

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7)

მინისტრი

ნიკოლოზ რურუა

დანართი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო  
ბარათი № 020501006



1. სახელწოდება - მუზეუმი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, ოდისეი დიმიტრიადის ქ. №1
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - XX ს-ის შუა ხანა